

ფერდინანდ თავაძის მეტალურგიისა და
მასალათმცოდნეობის ინსტიტუტი

2011-2012 წლის სამეცნიერო საქმიანობის წლიური

ა ნ გ ა რ ი შ ი

თბილისი 2012

2012 წელს დამთავრებული გეგმიური და შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო -კვლევითი სამუშაოების მოკლე ანგარიში

1.1 2012 წელს დამთავრებული გეგმიური სამეცნიერო -კვლევითი სამუშაოების მოკლე ანგარიში

სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების გეგმით, ინსტიტუტი ასრულებდა 15 სამეცნიერო კვლევით სამუშაოს, მათ შორის 7 დახურული სამუშაოა, ხოლო 8 განეკუთნება ნაციონალურ უსაფრთხოებას, ახალი მასალების დამუშავებას, ბუნებრივი რესურსების და წარმოების ნარჩენების რაციონალურ გამოყენებას. საანგარიშო პერიოდისათვის დასრულდა 14 სამუშაო. 1 თემა არის გარდამავალი, რომელიც სრულდება 2013წ. 2012 წლის ანგარიშში მოყვანილია მხოლოდ 8 დია სამუშაო.

1. „თხელი ფურცლების უწყვეტი ჩამოსხმა-გლინვის შერწყმული მეთოდი“

თემის ხელმძღვანელები: ტ.მ.დ. თ.ნამიჩევიშვილი

ტ.მ.აკად დოქტორი გ.ქევხიშვილი

დღეისათვის არსებული ლითონური ფურცლების მიღების ტექნოლოგიური სქემა დაფუძნებულია გლინვის თეორიის კლასიკურ მეთოდებზე. კერძოდ იმისათვის რომ მივიღოთ $2 \div 10\text{მმ}$ სისქის ფურცელი საწყისი სხმული $5 \div 6\text{-ჯერ}$ მაინც უნდა გაცხელდეს 1200°C -მდე და თითოეულ ეტაპზე $20 \div 30\%-ით$ მოიჭიმოს. ეს ყოველ ეტაპზე თავისთავად იწვევს ლითონის დიდ დანაკარგებს. ამასთან თითოეულ ეტაპზე ძვირადღირებული საგლინავი დანადგარებისა და გამახურებელი ღუმელების აუცილებლობას, შესაბამისად მათ სამუშაო ფართით უზრუნველყოფას. რაც იწვევს საგლინავი პირველადი ნამზადის თვითდირებულების ზრდას. ამიტომ ცხადია თუ რატომ დადგა მსოფლიოში დღის წესრიგში “უსხმულო გლინვის” პროცესის ათვისების საკითხი.

პროექტის მიზანია, ინსტიტუტში შექმნილი დანადგარის პროექტის მიხედვით დამზადებულ საცდელ დანადგარზე, ფოლადის ფურცლების “უსხმულო გლინვის” მეთოდით მიღების ტექნოლოგიის დამუშავება-ათვისება.

სამუშაოში წარმოდგენილია უსხმულო გლინვის პროცესის დეტალური ანალიზი, სადაც სრულად არის წარმოდგენილი პროცესის ყველა ტექნოლოგიური პარამეტრი. დადგენილია ძირითადი ტექნოლოგიური პარამეტრების ოპტიმალური მნიშვნელობები, დამზადებულია დანადგარი, რომელზედაც ჩატარდა ალუმინის ჩამოსხმა-გლინვის საცდელი მეთოდით საპილოტე ნამზადების მიღება. დამზადდა ნიმუშები ლაბორატორიული კვლევებისათვის.

2., „სილიციუმისა და ალუმინის შენადნობის ელექტროთერმული წარმოების ტექნოლოგიის დამუშავება“

თემის ხელმძღვანელი: ტ.მ.დოქტორი ჯ.მოსია

საქართველოში არსებული ქვანახშირის საბადოების მიღამოებში წლობით დაგროვილია გამდიდრების მაღალნაცრიანი ნარჩენები; რუსთავსა და ტყიბული - მყარ სათბობზე მომუშავე თბოელექტროსადგურების წიდანაცრული ნარჩენები; თბილისის საავიაციო ქარხნის სიახლოეს - მეორადი ალუმინის მაღალთიხამიწიანი წიდები. აღნიშნული ნარჩენები გარემომცველ ბუნებაზე არახელსაყრელ გავლენას ახდენენ. ამავდროულად ალუმინისა და სილიციუმის ოქსიდების მაღალი ჯამური შემცველობა დასახელებული მასალების მინერალურ ნაწილში, აგრეთვე ბუნებრივი აღმდგენელის არსებობა აქცევს მათ ფასეულ ნედლეულად ელექტროთერმიის გზით ალუმინისილიციუმიანი შენადნობების მისადებად. საქართველოში ალუმინის დეფიციტის პირობებში ეს მნიშვნელოვანი გარემოებაა. ამდენად, აღნიშნული ნარჩენების კომპლექსური გამოყენებული ვარიანტების დამუშავება ფოლადის წარმოებაში ფართოდ გამოყენებული ალუმინისილიციუმიანი შენადნობების მისადებად მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს.

აღნიშნული სამუშაოს მიზანია ნარჩენებიდან სილიციუმისა და ალუმინის შენადნობების მიღების ელექტროთერმიული ტექნოლოგიის დამუშავება.

ექსპერიმენტული კვლევის საფუძველზე დადგინდა სილიციუმისა და ალუმინის შენადნობების დნობის ტექნოლოგიური პარამეტრები, პროცესების თერმოდინამიკური მოდელირებისა და რამაც შესაძლებელი გახადა აღდგენის პროცესის მიზანმიმართული მართვა და დნობის შედეგების გაუმჯობესება.

დამუშავდა ქვანახშირის გადამუშავების ნარჩენებიდან სილიციუმისა და ალუმინის შენადნობების მიღების ელექტროთერმიული ტექნოლოგია. ამ ტექნოლოგიით შესაძლებელია აღნიშნული ნარჩენები დააბრუნდეს მეტალურგიული გადამუშავების ციკლში, მაღალი რენტაბელობის მქონე ნედლეულის სახით, რის ნაკლებობასაც დღეს უკვე მწვავედ განიცდის ჩვენი ქვეყნის ფეროშენადნობების მწარმოებელი მცირე საწარმოები.

მომზადებულია რეკომენდაციები დამუშავებული ტექნოლოგიის წარმოებაში ჩასანერგად.

3. „ახალი თაობის ნანოსტრუქტურირებული საკონსტრუქციო და ცვეთამედეგი დანიშნულების ფოლადების შემუშავება“ თემის ხელმძღვანელი: ტ.მ.აკად დოქტორი ნ.ლუარსაბიშვილი

თანამედროვე ტექნიკა მკაცრ მოთხოვნებს უქენებს საკონსტრუქციო და სპეციალური თვისებების ფოლადებს. ტრადიციული მეტალურგიული მეთოდებით გაზრდილი საექსპლოატაციო თვისებების მქონე ფოლადების მიღება თითქმის ამოწურულია. ამავდროულად ცნობილია, რომ ნანოსტრუქტურირების ეფექტი მნიშვნელოვნად ზრდის ფოლადების სიმტკიცეს, სისალეს, პლასტიკურობას, ცვეთამედეგობას და სხვა. გაზრდილი საექსპლოატაციო თვისებების მქონე ახალი თაობის ნანოსტრუქტურირებული ფოლადების მისაღებად, ფოლადების ნანოსტრუქტურირების პროცესის შესწავლა განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს.

პროექტის მიზანია ნანოსტრუქტურირების კრიტერიუმების დადგენის საფუძველზე ეკონომიკურად ლეგირებული გაუმჯობესებული საექსპლოატაციო მახასიათებლების

(მექანიკური თვისებები, კოროზიამედეგობა, ცვეთამედეგობა...) მქონე ნანოსტრუქტურული საკონსტრუქციო (ბეინიტური) და ცვეთამედეგი (მეტასტაბილურ-აუსტენიტური) შენადნობების შექმნის პრინციპების დადგენა.

შესწავლილი იქნა Si და N-ის გაზრდილი შემცველობის მქონე ბეინიტური და Cr-Mn-Ni-N მეტასტაბილურ-აუსტენიტური ფოლადები.

მაგნიტომეტრული, დილატომეტრული, რენტგენოსტრუქტურული, მეტალოგრაფიული ანალიზით, მექანიკური თვისებებისა და კოროზიამედეგობის გამოცდების მეთოდებით შესწავლილია საკვლევ ფოლადებში ფაზურ გარდაქმნებზე ლეგირების გავლენა და დეფორმაციულ-თერმული დამუშავებით გამოწვეული სტრუქტურული ცვლილებები.

მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე დადგინდა საკვლევი ფოლადების ნანოსტრუქტურირების ძირითადი პრინციპები.

დადგენილ კრიტერიუმებზე დაყრდნობით საკონსტრუქციო (ბეინიტური) და ცვეთამედეგი (მეტასტაბილურ-აუსტენიტური) ფოლადებისათვის დამუშავდა ნანოსტრუქტურირების ტექნოლოგიები რეჟიმები. მიღებულ იქნა ნანოსტრუქტურირებული ფოლადებისაგან დამზადებული პილოტური ნიმუშები, რომლებიც გადაეცემა მოთხოვნილებისამებრ დაინტერესებულ ორგანიზაციებს ექსპლუატაციაში გამოსაცდელად.

4. „კარბო-ნიტრიდ-ბორიდების ფუძეზე ახალი მაღალ-ეფექტური ლითონექრამიკული მასალების მიღების ტექნოლოგიების შემუშავება“ თემის ხელმძღვანელები: ტ.მ.დოქტორი გ.ონიაშვილი

ტ.მ.აკად.დოქტორი ზ.ასლამაზაშვილი

ტ.მ. აკად დოქტორი გ.ზახაროვი

ტექნიკის განვითარების თანამედროვე ტენდენცია მოითხოვს ზემაღალი საექსპლოატაციო თვისებების მქონე მასალების შექმნას. რკინის ფუძეზე არსებული მასალები ვერ აკმაყოფილებენ მათზე წაყენებულ მოთხოვნებს. ისეთი მასალების მიღება, რომელთაც ერთდროულად გააჩნიათ მაღალი სისალე და სიმტკიცის ზღვარი კუმშვაზე, დინამიური დატვირთვებისადმი მაღალ მედეგობასთან ერთად, არსებული ტექნოლოგიებით რთულია და მოითხოვს დიდ ენერგეტიკულ დანახარჯებს.

ენერგოდამზოგი და ეკოლოგიურად სუფთა თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზის (თმს) ტექნოლოგიით შესაძლებელია მივიღოთ უნიკალური თვისების მქონე მასალები კარბო-ნიტრიდ-ბორიდების ფუძეზე (სისალე (88-92 HRA), ცვეთამედეგობა ($10 \div 15 \cdot 10^{-7} \text{მმ}^3 \cdot \text{ნ}^{-1} \cdot \text{მ}^{-1}$), სიმტკიცის ზღვარი კუმშვაზე (3000-4000მპა). მიღებულ მასალებს გააჩნიათ ფართო გამოყენების სფერო. გარდა მაღალი საექსპლუატაციო თვისებებისა მიღებულ მასალებს აქვთ დაბალი თვითდიორებულება. ამ ტექნოლოგიის კიდევ ერთი უპირეტესობაა მასალის და ნაკეთობის ერთდროულად მიღების შესაძლებლობა.

პროექტის მიზანი იყო თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზით, არადეფიციტური, არალიმიტირებული ნედლეულიდან იაფი, მსუბუქი, წვრილდისპერსიული, ხოლო საჭიროების შემთხვევაში გრადიენტული ლითონექრამიკული მასალების მიღება კარბო-ნიტრიდ-ბორიდების ფუძეზე.

აღნიშნული ტექნოლოგიით მიღებილი იქნა ახალი მრავალფუნქციური ლითონკერამიკული მასალები კარბო-ნიტრიდ-ბორიდების ფუძეზე, რომლებიც ხასიათდებიან მაღალი სისალით ($88-92$ HRA), ცვეთამედეგობით ($10 \div 15 \cdot 10^{-7}$ მმ³·წ⁻¹·მ⁻¹); სიმტკიცის ზღვარია კუმშვაზე შეადგენს $3000-4000$ მპა საკმარის დარტყმით სიბლანტესთან ერთად.

მიღებული მასალები შესაძლებელია გამოყენებული იქნას ადიდვის თვალაპების, საჭრისების, ტვიფრვების (მაღალტემპერატურული სტატიკური ტვიფრვისათვის), ასევე სამხედრო დანიშნულებით. კერძოდ მაღალი სისალის-90HRA, მათ შორის WC გულარიანი მაღალი ენერგიის $3760 \div 4000$ ჯოულის მქონე ტყვიებისაგან ობიექტის დამცავი საჯავშნე ფილების დასამზადებლად, (მათ შორის მსუბუქი ჯავშანტექნიკისთვის $12,7\text{მ}$ ჯავშანგამტარი ტყვიებისაგან ენერგიით 1800 ჯოული დასაცავად).

შემუშავებული ლითონკერამიკული მასალებიდან დამზადებულია საცდელი საჯავშნე ელემენტები და საჯავშნე ფილები. ჩატარებული იქნა მათი ბალისტიკური გამოცდები.

5. „ზოფხიტოს ოქროს შემცველი ანთიმონიანი მაღნებიდან მაღალი სისუფთავის ანთიმონის და ოქროს მიღების ეკოლოგიურად უსაფრთხო ლაბორატორიულ ტექნოლოგიური სქემების დამუშავება“ თემის ხელმძღვანელი: ტ.მ.დოქტორი ჯ.ბალდავაძე

ანთიმონიანი შენადნები ფართოდ გამოყენება ტექნიკაში: აკუმულატორის ფირფიტების, კაბელის გარსაცმის, ფურცლების, მიღების, ქმიური აპარატურის დასამზადებლად. ნახევარგამტარებში ფართო გამოყენებას პოულობს ანთიმონის შენადნები ცინკთან, კალციუმთან, ალუმინთან, გალიუმთან, ინდიუმთან და სხვა. ასევე ანთიმონის სულფიდი დიდ გამოყენებას პოულობს ასანთის წარმოებაში, პიროტექნიკაში და სამხედრო მრეწველობაში.

ოქროს ამოდების ციანიდური ტექნოლოგიის გამოყენება ზოფხიტოს ოქროსშემცველი ანთიმონიანი მაღნების გადამუშავების შემთხვევაში მიუღებელია გარემოს ძლიერი დაბინძურების გამო. ამდენად ზოფხიტოს ოქროსშემცველი ანთიმონიანი მაღნიდან მაღალი სისუფთავის ანთიმონის, ანთიმონის სულფიდის და ოქროს მიღების ეკოლოგიურად უსაფრთხო ტექნოლოგიური სქემის შემუშავება მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს.

პროექტის მიზანია ზოფხიტოს ოქროსშემცველი ანთიმონიანი მაღნების ეკოლოგიურად უსაფრთხო კომპლექსური გადამუშავების გზით ოქროს და თანმდევი პროდუქტების – ლითონური ანთიმონისა და ანთიმონის სულფიდის მიღების ტექნოლოგიური სქემის დამუშავება.

დამუშავდა ზოფხიტოს ოქროსშემცველი ანთიმონიანი მაღნების კომპლექსური გადამუშავების ახალი ტექნოლოგიური სქემა, რომელიც ოქროს ამოდებასთან ერთად იძლევა ლითონური ანთიმონისა და ანთიმონის სულფიდის ამოდების საშუალებას.

დამუშავებული ტექნოლოგიით ოქროს ამოდება ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების ზრდას, ხოლო მიღებული ანთიმონი შესაძლებელია გამოყენებული იქნას სხვადასხვა მიმართულებით.

ოქროს ამოდების აღნიშნული არატრადიციული, უციანიდო მეთოდები, აგრეთვე თანმდევი მასალების ამოდების ტექნოლოგიურ პროცესებში ვაკუუმის გამოყენება იძლევა ეკოლოგიური უსაფრთხოების გარანტიას, რასაც უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კავკასიის და კერძოდ საქართველოს მაღალმთიანი რეგიონის უნიკალური ბუნების შენარჩუნებისათვის.

6. „ფეროშენადნობთა წარმოების ოქსიდური ნარჩენებისაგან მანგანუმშემცველი კონგლომერატის მიღების მაღალმწარმოებლური ენერგოეფექტური ტექნოლოგიის დამუშავება“
თემის ხელმძღვანელი: ტ.მ.აკად.დოქტორი გ.ჯანდიერი

ფეროშენადნობთა წარმოებაში მრავალი ათწლეულის მანძილზე დაგროვილი მილიონობით ტონა საწარმოო ნარჩენების კვლავწარმოებაში დაბრუნება, რასაც ამჟამად კიდევ ემატება მიმდინარე წარმოების მიერ გამოყოფილი ნარჩენები, მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხია, როგორც ეკონომიკური, ასევე ეკოლოგიური უსაფრთხოების თვლსაზრისით. მაგალითად, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის (ამჟამად შპს “ჯორჯიან მანგანეზი”) მონაცემებით, ყოველწლიურად აქ გამოიყოფა და ლია ატმოსფერულ პირობებში საწყობდება 11-15 ათ. ტონა მანგანუმშემცველი მტვერი (Mn 20-24%) და 350-400 ათ. ტ. წიდა (Mn 14-20%), ტონაში 1 %-ის საშუალო ლირებულებით 5\$, რაც აისახება პროდუქციის თვითღირებულების გაზრდასა და გარემოზე მავნე ზემოქმედებაში.

პროექტის მიზანია ისეთი ტექნოლოგიური პროცესის დამუშავება, რომელიც უზრუნველყოფს ფეროშენადნობთა სადნობი ელექტრორკალური ღუმელებიდან გამონაბოლქვი მანგანუმშემცველი მტვერის (Mn 20-24%) და მისი ლია ატმოსფერულ პირობებში დასაწყობებით მიღებული შლამის დანაჭროვნებას (დაბრიკეტებას) აღმდგენელთან (კოქსი) ერთად და მის თერმულ დამუშავებას (დეპიდრატაციანაწილობრივ აღდგენას) ფეროშენადნობთა წარმოების თანმყოლი მაღალტემპერატურულ თხევადი წიდებში (Mn 14-20%) დიფუნდირებით

სამუშაოს ლაბორატორიულ პირობებში განხორციელებისათვის შესწავლილი და გაკეთებული იქნა: მანგანუმშემცველი ბრიკეტის წნევფორმები, მანგანუმ და ნახშირბადშემცველი მასალის შემრევი შნეკები, მოხდა მიღებული ნარევის დაბრიკეტება ინსტიტუტში არსებული პიდრავლიკური წნების გამოყენებით, დამონტაჟდა 100-200 კვა სიმძლავრის რკალური ელექტროდუმელი. ღუმელიდან გამოშვებულ თხევად წიდაში ბრიკეტის გრავიტაციული მიწოდების მექანიზმის გამართვა განხორციელდა მანგანუმშემცველი მტვერისა და შლამისაგან აქტივიზირებული მყარი საკაზმე კომპონენტის – ბრიკეტის ფორმირება ფეროშენადნობთა წარმოების თანმყოლ წიდაში, რაც შედარებით დარიბი წიდის მანგანუმით გამდიდრების გამო განაპირობებს ახალი საკაზმე ნედლეულის, – მანგანუმშემცველი კონგლომერატის (Mn 30%) მიღებას. მიღებული პროდუქტი უქმედებარება უშუალო რეციკლირებას მანგანუმიანი ფეროშენადნობების წარმოებაში.

აღნიშნული პროდუქტის გამოყენების შედეგად შემცირდა, როგორც პროდუქციის (სილიკომანგანუმის) თვითღირებულება, ასევე მოიკლო დია პირობებში დასაწყობებული სამრეწველო ნარჩენების რაოდენობამ და გარემოზე მათმა მავნე ზემოქმედებამ.

7. „მადნეულის სულფიდური მადნებიდან და საწარმოო ნარჩენებიდან ოქროს გამოტუტვა მიკრობიოლოგიური მეთოდით“
თემის ხელმძღვანელი : ტ.მ.აკად დოქტორი ლ.სახვაძე.

მადნეულის საქართველოს ოქროს შემცველი საბადოების დარიბი ბალანსირებული მადნებისა და წარმოების ნარჩენების (რომელთა რაოდენობა მიღიონობით ტონას შეადგენს და ანაგვიანებს გარემოს) კვლავ წარმოებაში ჩართვა და მათგან ღირებული პროდუქციის მიღება მნიშვნელოვან ეკოლოგიურ და ეკონომიურ პრობლემას წარმოადგენს.

ცნობილია ოქროს გამოტუტვის გრავიტაციული და ფლოტაციური მეთოდები. აღნიშნული მეთოდებით ოქრო მადნიდან თავისუფლდება მარცვლების ან არგენტიტის სახით, ხოლო მინერალებში ჩაწინებული მნელად ხსნადი ოქრო რჩება მადანში ან სხვა მინერალებთან ერთად გადადის კონცენტრატებში სულფიდური სპილენზის ან ტყვიის სულფიდის სახით.

პროექტში შემოთავაზებული მიკრობიოლოგიური მეთოდით მოხდება მადნეულის სულფიდური მადნებიდან და საწარმოო ნარჩენებიდან ოქროს გამოტუტვა მიკრობიოლოგიური მეთოდით. დამუშავდა ტექნოლოგიური სქემა, რომელიც უზრუნველყოფს აღნიშნული მეთოდით ოქროს გამოტუტვას მაქსიმალურად შესაძლო მაჩვენებლით (95-97%);

ტექნოლოგიური სქემის შედეგის დროს გათვალისწინებული იქნა მადანში არსებული ოქროს ბუნება, მადნის დისპერსულობა, ნივთიერი შედგენილობა, ოქროსთან ასოცირებული მინერალების ხასიათი და სასარგებლო კომპონენტებისკონცენტრაციას.

პროექტის შესრულებამ შესაძლებელი გახადა ამჟამად არსებული გამოუყენებადი ოქროსშემცველი სულფიდური მადნებისა და საწარმოო ნარჩენების კვლავწარმოებაში ჩართვის შესაძლებლობა, რაც გაზრდის ოქროსშემცველ სანედლეულო ბაზას საქართველოში.

8. „ქლორიდული კაზმიდან ნიკელის ფუძეზე დისპერსიულად განმტკიცებული კომპოზიციური ფხვნილების მიღება მხურვალ და ცეკვაში დანაფარებისათვის“.

თემის ხელმძღვანელი: ტ.მ.აკად დოქტორი ზ.მირიჯანაშვილი

საექსპლუატაციო პარამეტრების გაზრდის მიზნით მასალათმცოდნეობის ერთერთ აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს მხურვალ -და ცვეთამედეგი მასალების შემდგომი სრულყოფა. ამიტომ, განსაკუთრებულ ინტერესს ისეთი ტექნოლოგიის დამუშავება, რომელიც უზრუნველყოფს ულტრადისპერსიული (მათ შორის ნანოგანზომილების) კომპოზიციური მასალების მიღებას, რომლებიც მაღალი ცვეთა, მხურვალმედეგობასა და აბრაზიულობასთან ერთად ინარჩუნებენ დარტყმითი სიბლანტისა და პლასტიკურობის დამაკვალიფილებელ დონეს.

პომოგენური ფხვნილოვანი შენადნობების და კომპოზიციური მასალების მიღების ერთ-ერთი პერსპექტიული მიმართულებაა შესაბამისი ლითონების ქლორიდების და სხვა ნაერთების ერთობლივი წყალბად -ან მეტალოერმიული

აღდგენა. ამ მეთოდის უპირატესობას განაპირობებს აღდგენის პროცესების შედარებით დაბალი ტემპერატურა, და მაღალი სიჩქარე, არასტანდარტული მოწყობილობის სიმარტივე, მინიმალური ენერგო და მატერიალური დანახარჯები და საწყის ნედლეულად იაფი, წარმოების ნარჩენებიდან მიღებული ლითონთა ქლორიდების გამოყენება.

პროექტის მიზანია ქლორიდული კაზმის ალუმინოთერმიული აღდგენით ნიკელის ფუძეზე ალუმინის ოქსიდით განმტკიცებული კომპოზიციური ფხვნილოვანი მასალის, Ni - Co - Cr-Al₂O₃, მიღების ტექნოლოგიის დამუშავება; ექსტრემალურ პირობებში მომუშავე დეტალების ზედაპირებზე ელექტრო ნაპერწკლური ლეგირებით დანაფარების მიღება და საცდელი ნიმუშების ზოგიერთი ექსპლუატაციური თვისებების კვლევა.

დამუშავებულია ტექნოლოგია, რომელიც დაფუძნებულია ნიკელის და ქრომის ქლორიდებისა და კობალტის ოქსალატის ერთობლივ ალუმინოთერმიულ აღდგენაზე; შედეგად მიღებულია ნანოგანზომილების ალუმინის ოქსიდით განმტკიცებული Ni - Co - Cr - Al₂O₃ კომპოზიციური ფხვნილი. მიღებული ფხვნილების შემდგომი თერმული დამუშავებით შესაძლებელი გახდა ლითონური ფუძის განმტკიცება Ni₃Al ნანოკრისტალური გამონაყოფითაც.

მიღებული კომპოზიციური ფხვნილებიდან დამზადდა კომპაქტური ელექტროდები ნაკეთობათა ზედაპირების ელექტრო-ნაპერწკლური ლეგირებისათვის; განხორციელდა მაღალი ტემპერატურის და ინტენსიური ხახუნის პირობებში მომუშავე საცდელი დეტალების ზედაპირების დაფარვები. აღნიშნული ტექნოლოგია გამოყენებული იქნება სხვადასხვა დანიშნულების, მათ შორის სამხედრო მანქანა-მექანიზმების კვანძების და მცირე და საშუალო ზომის, დეტალების ზედაპირების განმტკიცება-ლეგირებასათვის.

1.2. 2011 წელს დამთავრებული შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის და სხვა გრანტებით დაფინანსებული სამეცნიერო -კვლევითი სამუშაოების მოკლე ანგარიშები.

1. პროექტი 4450. STCU - „ნანოსტრუქტურული 3D-ნაკეთობის და დანაფარების დამუშავება და სინთეზი ინტეგრირებული ნანოტექნოლოგიური სქემის გამოყენებით“. (2010-2012)წწ. პროექტის მენეჯერი, ო.ოქროსცვარიძე.

შესწავლილი იქნა თმს-ის ტექნოლოგიის თანამედროვე მდგომარეობა და მისი განვითარების ტენდენცია, რომელიც განხილული იქნა ენერგო- და რესურსდამზოგველი ტექნოლოგიების განვითარების კუთხით. დამზადებული იქნა თმს-გენერატორი და მზის კონცენტრატორების სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს კაზმის გაცხელებას 500-600°C-მდე.

მიღებული იქნა TiB, TiC, WC, B₄C და ა.შ. თმს-ფხვნილები, რომელთა ქიმიური დამუშავებით მიღებული იქნა ნახო და ულტრადისაერსული ფხვნილები. შესწავლილი იქნა მათი სტრუქტურული თავისებურებები და ჩატარდა რენტგენოფაზური ანალიზი. შესწავლილი იქნა ფხვნილების ზოგიერთი

ტექნოლოგიური მახასიათებელი. ჩატარდა პირველადი მარკეტინგული გამოკვლევები.

2. მთ.მ.თანამშრომელმა დაბუნიამ მოიპოვა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ინდივიდუალური სამოგზაურო გრანტი და მიიღო მონაწილეობა 2012 წლის 24-28 სექტემბერს ყირიმის ავტონომიურ რესპუბლიკაში (კაციველი, უკრაინა) გამართული მე-7 საერთაშორისო კონფერენციის "მასალები და დანაფარები ექსტრემალურ პირობებში: გამოკვლევები, გამოყენება, წარმოების ეკოლოგიურად სუფთა ტექნოლოგიები და ნაკეთობათა უტილიზაცია" მუშაობაში. კონფერენციაზე დგაბუნიას თანაავტორობით წარდგენილი იქნა 3 მოხსენება: 1. ბორშემცველი მასალები – ნეიტრონული დაცვის ეფექტური საშუალება (ზეპირი); 2. იზოტოპური შემადგენლობის გავლენა წ- რომბოედრული ბორის თერმული გაფართოების კოეფიციენტზე (სტენდი); 3. ნეიტრონებისგან დამცველ ბორლითონურ ფარებში თანმდევი გამა-გამოსხივების შესუსტების შეფასება (სტენდი). 24 სექტემბერს იგი თავმჯდომარეობდა კონფერენციის სექციის საღამოს სხდომას. კონფერენციის პროცესში დაისახა კონფერენციის მონაწილეებთან: ლ. ჩერნიშოვთან, ლ.სარტინსკაიასთან, ო. სიზონენკოსთან სამომავლო მეცნიერული თანამშრომლობის გზები.

3. მეცნიერმა თანამშრომელმა ლ. ჩხარტიშვილმა მოიპოვა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ინდივიდუალური სამოგზაურო გრანტი და მიიღო მონაწილეობა 2012 წლის 17 – 30 ნოემბერს კიევში, უკრაინა, გამართულ კონფერენციაში “ფხვნილთა მეტალურგია: მისი დღევანდელი და ხვალინდელი დღეები” (fm – 2012). კონფერენციაზე ლ. ჩხარტიშვილის თანაავტორობოთ წარდგენილი იყო 2 მოხსენება: (1) ლ. ს. ჩხარტიშვილი, ო. ა. ცაგარეიშვილი, დ. ლ. გაბუნია, ბ. გ. მარგივი, ა. ა. გაჩეჩილაძე, გ. ფ. თავაძე. ბორის ნიტრიდის ნანოფენილების კუთრი ზედაპირის განსაზღვრა ნაწილაკთა საშუალო ზომის მიხედვით – ზეპირი; და (2) დ. ლ. გაბუნია, ო. ა. ცაგარეიშვილი, ლ. ს. ჩხარტიშვილი. წ-რომბოედრული ბორის ფხვნილების მიღება, სტრუქტურა და თვისებები – სასტენდო. კონფერენციის მიმდინარეობის დღეებში იგი შეხვდა და ესაუბრა სამეცნიერო თანამშრომლობის განვითარების თაობაზე უკრაინის რიგი წამყვანი კვლევით ცენტრების ფხვნილთა მეტალურგიის, მასალათმცოდნეობისა და ნანოტექნოლოგიების სპეციალისტებს: უკრაინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ი. ნ. ფრანცევიჩის სახელობის მასალათმცოდნეობის პრობლემათა ინსტიტუტიდან – (ლ. ჩერნიშოვი, ნ. ფიოდოროვა, ლ. სარტინსკა); კიევის ეროვნული უნივერსიტეტიდან – (ნ. კორნიენკო); უკრაინის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ფ. დ. ოგჩარენკოს ბიო-კოლოიდური ქიმიის ინსტიტუტიდან – (ო. ლაგრინენკო).

2. 2012 წელს სამეცნიერო დაწესებულების თანამშრომელთა მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომათა ნუსხა და მათი მოკლე ანოტაციები

1. Б.Г.Маргиев, Р.В.Чедиа, А.А.Гачечиладзе, Л.С.Чхартишвили, И.Л. Купрейшвили, А.Г.Микеладзе, Д.Л.Габуния, О.А.Цагарейшвили. Получение нанокристаллического нитрода бора химическим синтезом. III-я международная Самсоновская конференция “Материаловедение тугоплавких соединений” труды конференции, 23-25 мая 2012г. Киев, Украина,с. 207

მიღებულია ამიაკის ატმოსფეროში ბორის უანგბადნაერთებისა და აზოტის მარილების გამოყენებით, მიღებულია ნანოკრისტალური ჰექსაგონალური ბორის ნიტრიდი. სინთეზირებული ნანონაწილაკების მორფოლოგიისა და გეომეტრიული ზომების გათვალისწინებით შეფასებულია ხედრითი ზედაპირი და სითბოგამტარებლობა. რენტგენოსტრუქტურული მეთოდით განსაზღვრულია ქიმიურად სინთეზირებული ნაწილაკების გეომეტრიული ზომები.

2. L.S. Chkhartishvili, O.Tsagareishvili, D.L. Gabunia. 10B-Based materials for neutron-shielding. Modern Technologies and Methods of Inorganic Materials Science, International Conference Proceedings, Tbilisi, Georgia, 2012, June , 188-202

სტრუქტურული მოდელების გამოყენებით გამოთვლილია 10B იზოტოპის მაქსიმალური შესაძლო კონცენტრაციები ელემენტარული ბორის კრისტალურ, ამორფულ და ნანოსტრუქტურულ მოდიფიკაციებში და, აგრეთვე ბორის ზოგიერთ ნაერთში. გაპეტებულია დასკვნა, რომ სათანადო ნეიტრონული დაცვა შესაძლებელია ბორის ნაერთებისა და კომპოზიტების თხელი ფენების მეშვეობით, თუკი მასალა გამდიდრებულია ამ იზოტოპით. აღწერილია ბორის დისპერსული კრისტალური ფენილების მიღების ტექნოლოგიები, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ ხარისხიანი დანაფარების შექმნა პლაზმური მეთოდით.

3. ა.მიქელაძე, ა.გაჩეჩილაძე, ბ.მარგიევი, ო. ცაგარეიშვილი. მეტალოკერამიკა ნანოკრისტალური აბრაზიული კარბიდების ფუძეზე. საერთაშორისო კონფერენციის მოხსენებათა კრებული “არაორგანული მასალათმცოდნეობის თანამედროვე ტექნოლოგიები და მეთოდები”, თბილისი, გამომცემლობა “მერიდიანი”, 2012 წ.გ.149-160

სამუშაოში კომპონენტების მარილების ინჟექტირებული თხევადი ხსნარებისა და მაღალმოლექულური ნახშირწყალბადების აღდგენისა და კარბიდიზაციის სელექციური პროცესების შედეგად მიღებულია მაღალდისპერსული (< 100 ნმ) მეტალოკერამიკა ნანოკრისტალური აბრაზიული კარბიდების TiC, WC და B₄C ფუძეზე. რენტგენოფაზური ანალიზით ნაჩვენებია მეტალოკერამიკულ სისტემებში აბრაზიული კარბიდებისა და შესაბამისი მაცემენტირებელი მეტალებისა და შენადნობების არსებობა. ნაპერწყლურ-პლაზმური სინთეზის მეთოდით კომპაქტირებულ მეტალოკერამიკული კომპოზიციურ სისტემებში შენარჩუნებულია საწყისი ფენილების ნანოკრისტალური მდგომარეობა.

4. ა.მიქელაძე, მ.ანთაძე, ო.ცაგარეიშვილი, ა.გაჩეჩილაძე, დ.გაბუნია, ბ.მარგიევი, ტ.წულაძე, ქ.სარაჯიშვილი, რ.ჭედია. მეტალოკერამიკა ნანოკრისტალური ბორის კარბიდის ფუძეზე. მე-2 საერთაშორისო კონფერენცია “ნანოტექნოლოგიები” ნანო-2012, თბილისი, საქართველო, 2012 წლის 19-21 სექტემბერი. კრებული გვ. 38

მიღებულია მეტალოკერამიკა ბორის კარბიდის ფუძეზე. შერჩეულია ლითონური შემკვრეცები სპილენდის ფუძეზე. საუკეთესო ადგეზიური და მექანიკური თვისებებით ხასიათდება Cu-Mn-ისა და Cu-Ti-ის შენადნობები. დამუშავებულია სპილენდით პლაკირებული ნანოკრისტალური ბორის კარბიდის მიღების მეთოდი. ნაპერწკლურ-პლაზმური სინთეზის მეთოდით მიღებულია კომპაქტირებული მეტალოკერამიკა ნანოკრისტალური ბორის კარბიდის ფუძეზე.

5. Д..Габуния, Л.Чхартишвили, О.Цагарейшвили, В.Габуния, И. Купрейшвили. Влияние изотопного состава на коэффициент термического расширения β-ромбоздрического бора. VII Международная конференция «Материалы и покрытия в экстремальных условиях: исследования, применение, экологически чистые технологии производства и утилизации изделий», Кацивели, Крым АР. Украина, 2012. с.186.

სამუშაოში რენტგენოსტრუქტურული კვლევების მეთოდით შესწავლილია β -რომბოედრული ბორის თერმული გაფართოების კოეფიციენტის მნიშვნელობაზე იზოტოპური შედგენილობის გავლენა. ნაჩვენებია მათი ანიზოტროპულობა კრისტალური მეხრის ჟ და ~~ც~~ღერძების მიმართ.

6. გ.მეტრეველი, ბ.ამაღლობელი, დ.გაბუნია. ბულატის მსგავსი სტრუქტურის მქონე მაღალნახშირბადიანი ფოლადების მიღება. საქ. მეცნ. აკადემიის მაცნე, ქიმიის სერია, 2012, №1, გვ. 38, გვ. 85-87

დადგენილია მაკრო და მიკროსტრუქტურის მიხედვით ბულატის მსგავსი მაღალნახშირბადიანი ფოლადების მიღების შესაძლებლობები დნობით, ნელი კრისტალიზაციითა და კაზმის თერმული და მექანიკური დამუშავებით. ნაჩვენებია, რომ საკაზმე მასალად შეიძლება გამოყენებული იყოს როგორც სუფთა კომპონენტები (რკინა, ნახშირბადი), აგრეთვე თუჯი და არმკო რკინა.

7. Л.С.Чхартишвили, Г.Н.Набахтиани , А.В.Гигинейшвили , О.А.Цагарейшвили , Д.Л.Габуния, З.Г.Ростомашвили. Оценка ослабления сопутствующего гамма-излучения в бор-металлических нейтронных щитах. VII Международная конференция «Материалы и покрытия в экстремальных условиях: исследования, применение, экологически чистые технологии производства и утилизации изделий», Кацивели, Крым АР. Украина, 2012с. 87

მოცემულია ბორშემცველი მასალებისაგან დამზადებული ნეიტრონული ფარების მაიონიზებელი რადიაციისაგან დამცავი თვისებების შეფასება მათ ზომებზე დამოკიდებულებით. ყველა გამოთვლა განხორციელებულია კოდის Micro Shield გამოყენებით. ნაჩვენებია, რომ 10В მონოზოგობრული ბორისა და W-ის ფენოვანი კომპოზიტები წარმატებით შეიძლება გამოვიყენოთ სხვადასხვა ინტენსივობის ნეიტრონების ნაკადებისაგან და მათი ბორშემცველ მასალებში შთანთქმის თანმდევი გამა-გამოსხივებისაგან დაცვისათვის.

8. დ.ლ.Габуния, ლ.с.Чхартишвили , օ.ა.Цагарейшвили , ა.ა.გачечиладзе , ა.გ.მიკელაძე , ვ.и.Гарибашвили , ზ.м. მირიჯанашвили. Борсодержащие

материалы- эффективные средства защиты от нейтронного облучения. VII Международная конференция «Материалы и покрытия в экстремальных условиях: исследования, применение, экологически чистые технологии производства и утилизации изделий», Кацивели, Крым АР. Украина, 2012. с.57

ნაჩვენებია, რომ ნეიტრონული დასხივებისაგან დასაცავად ბორშემცველი ნაერთებიდან ყველაზე ეფუძბურია ბორის ნიტრიდის გამოყენება. დადგენილია, რომ ბორის ნიტრიდი ხასიათდება ნეიტრონმშთანთქმელი ცენტრების მაღალი კონცენტრაციით. ამასთან მისი ფენოვანი სტრუქტურული აღნაგობა საშუალებას იძლევა დამცავი ფარის მასალა იოლად განთავისუფლდეს ბირთვული რეაქციის აირული პროდუქტებისგან და ნაკლებად დეგრადირდეს.

9. Д.Л.Габуния ,О.А.Цагареишвили , Л.С.Чхартишвили , З.М. Мириджанашвили .Получение, структура и свойства порошков β-ромбоэдрического бора. Порошковая металлургия: её сегодня и завтра ПМ 2012, 27-30 ноября 2012 года, Киев, Украина, с.155

სამუშაოში განხილულია დისპერგირებული β - რომბოედრული ბორის სტრუქტურული და მორფოლოგიური თავისებურებები. დადგენილია, რომ დისპერგირების პროცესი β -ბორის ძირითად ფაზასთან ერთად შეიცავს ბორის ანჰიდრიდისა და ე.წ. ბორის “ამორფულ” ფაზებს. შემოთავაზებულია “ამორფული” ფაზისაგან ბორის ფენილების გასუფთავების მეთოდი.

10. З.М Мириджанашвили, Д.Л.Габуния, В.И.Гарибашвили, А.З. Канделаки. Комбинированная технология получения порошков. Порошковая металлургия: её сегодня и завтра ПМ 2012, 27-30 ноября 2012 года, Киев, Украина, с.156

სამუშაოში დამუშავებულია აირული ქლორის გამოყენებით ლითონშემცველი ნარჩენებიდან ლითონური ქლორიდების მიღების კომპლექსური ლონისძიებები. ნაჩვენებია, რომ ლითონური ქლორიდები, როგორც საშუალებო პროდუქტები წარმატებით შეიძლება გამოყენებული იქნას ლითონური კარბიდების ფუძეზე კომპოზიური მასალების მისაღებად.

11 Л.С. Чхартишвили , О.А.Цагареишвили , Д.Л.Габуния, Б.Г.Маргасев, А.А.Гачечиладзе , Г.Ф.Тавадзе. Определение удельной поверхности нанопорошков нитрида бора по среднему размеру частиц. Порошковая металлургия: её сегодня и завтра ПМ 2012, 27-30 ноября 2012 года, Киев, Украина, с. 240

შემოთავაზებულია მოდელი ფორმისა და ზომების მიხედვით ნანონაწილაკის ხვედრითი ზედაპირის განსაზღვრისათვის. დამუშავებული მეთოდიკით შევასებულია ლიტერატურული და ექსპრიმენტული შედეგები. ნაჩვენებია, რომ ნაწილაკის მორფოლოგიური თავისებურებებისა და საშუალო ზომის გათვალისწინებით შესაძლებელია დამაკმაყოფილებელი სიზუსტით განისაზღვროს ნაწილაკების ხვედრითი ზედაპირი.

12. L. Chkhartishvili, I. Murusidze, M. Darchiashvili, O. Tsagareishvili, D. Gabunia. Metal impurities in crystallographic voids of beta-rhombohedral boron lattice: Binding

თეორიულად (კვაზიკლასიკური მეთოდით) გამოთვლილია ბეტა-რომბოედრული ბორის კრისტალოგრაფიულ სიცარიელეებში შეყვანილი მეტალური ატომების კრისტალურ მესერთან ბმის ენერგიები და მათთან დაკავშირებული ელექტრონული დონეები. გაკეთებულია დასკვნა, რომ ამგვარი ლეგირების დონის ზრდის კვალობაზე ბეტა-რომბოედრულ ბორში ადგილი უნდა ჰქონდეს გამტარობის მექანიზმის ცვლილებას შემდეგი თანამიმდევრობით: p-ტიპის ნახტომისებური გამტარებლობის ზრდა, p-ტიპის ნახტომისებური გამტარებლობის შესუსტება, გამტარობის ტიპის ინვერსია, n-ტიპის ნახტომისებური გამტარებლობის ზრდა, გადასვლა მეტალურ გამტარობაზე.

13. M. Antadze, R. Chedia, O. Tsagareishvili, A. Mikheledze, A. Gachechiladze, B. Margiev, D. Gabunia, T. Tsuladze, D. Khantadze¹. Metal-Ceramics Based on Nanostructured Boron Carbide . Solid State Sciences, In Press, Corrected Proof, Available online 18 June 2012www.elsevier.com/locate/ssscie. Solid State Sciences, 14 (2012) 1725-1728.

ბორის კარბიდის ლითონურ შემკვრელებად სპილენძის ფუძეზე შერჩეულია დნობის დაბალი ტემპერატურის მქონე ქიმიურად ნაკლებად აქტიური ისეთი გვტექტიკური შენადნობები, რომლებიც კარგად ასველებენ ბორის კარბიდს. ნაპერწკლურ-პლაზმური სინთეზის მეთოდით მიღებულია კომპაქტირებული მეტალოკერამიკა. შესწავლილია მეტალოკერამიკის მექანიკური თვისებების დამოკიდებულება კომპაქტირების ტემპერატურისა და დროისაგან. შესწავლილია შემაკავშირებელი შენადნობის კონცენტრაციის გავლენა მეტალოკერამიკის თვისებებზე.

14. Г. Ф. Тавадзе, Д. В. Хантадзе. Влияние дисперсности порошков на процесс СВС. Тез. докл. Конф. “Порошковая металлургия: Ее сегодня и завтра” (ПМ – 2012). 2012, Киев: ИПМ, 72.

განხილულია ფხვნილების დისპერსიულობის გავლენა თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზის მიმდინარეობაზე.

15. L. Chkhartishvili, I. Murusidze. Relative stability of BN nanotubes. Solid State Sci., 2012, 14, 11/12, 1664-1668.

თეორიულად (კვაზიკლასიკური მეთოდით) გამოკვლეულია ბორის ნიტრიდის ნანომილაკების მდგრადობა. ნაჩვენებია, რომ ულტრამცირე რადიუსის მქონე ნანომილაკებისათვის ბმის მოლური ენერგია არამონოტონურად არის დამოკიდებული ნანომილაკის სტრუქტურულ ინდექსებზე.

16. L. Chkhartishvili. Solution of an algebraic equation using an irrational iteration function. Math. Notes, 2012, 92, 5, 123-128.

სტატია ემდგნება ალგებრული განტოლებების ამოხსნის იტერაციულ მეთოდს. ეს მეთოდი რეალიზებულია, მათ შორის, ისეთი განტოლებებისათვის, რომლებიც განსაზღვრავენ ელექტრონულ დონეებს ბორის ბიატომურ მოლეკულაში B2 და კუბური ბორის ნიტრიდის BN კრისტალში.

17. L. Chkhartishvili. On theory of doping in nanosized crystallographic voids. Nano Studies, 2012, 5, 73-84.

β-რომბოედრული ბორის მაგალითზე ჩამოყალიბებულია ნანოზომის კრისტალოგრაფიულ სიცარიელეებში მინარევული ატომების შეყვანით ნახევრადგამტარი მასალების ლეგირების თეორიის ძირითადი პრინციპები. კერძოდ, კვაზიკლასიკურ მიდგომაში ჩაწერილია ასეთი მინარევების კრისტალის მეზობელ ატომებთან ბმის სიგრძეებისა და ბმის ენერგიების, ასევე მათ მიერ შექმნილი დონორული და აქცეპტორული ელექტრონული დონეების ენერგიების გამოსათვლელი თანაფარდობები.

18. ლჩხარტიშვილი. საერთაშორისო კონფერენცია “ფუნდამენტური და გამოყენებითი ნანოელექტრომაგნეტიკა” (fgnem'12). Nano Studies, 2012, 5, 133-138.

მოწოდებულია ინფორმაცია 2012 წლის 22 – 25 მაისს მინსკში, ბელარუსი, გამართული საერთაშორისო კონფერენციის “ფუნდამენტური და გამოყენებითი ნანოელექტრომაგნეტიკა” (ფგნემ'12) შესახებ, რომრლიც მიეძღვნა ბელარუსის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბირთვული პრობლემების კვლევითი ინსტიტუტის დაარსებიდან 25-ე წლისთავს.

19. G. Nabakhtiani, A. Gigineishvili, L. Chkhartishvili, Sh. Dekanosidze. Radiation border monitoring system in Georgia. Nano Studies, 2012, 6, 61- 64.

აღწერილია საქართველოს საზღვრებზე რადიაციული მონიტორინგის სისტემის ორგანიზაციული და ტექნიკური სქემები.

20. L. Chkhartishvili. Correlation between surface specific area and particles average size: Hexagonal boron nitride nano-powders. Nano Studies, 2012, 6, 65 -76.

ჰექსაგონალური ბორის ნიტრიდის ნანონაწილაკებისათვის დადგენილია კორელაცია, რომელიც არსებობს მათ კუთრ ზედაპირსა და საშუალო ზომას შორის.

21. А.Л. Оклей, О. В. Шурадзе, М. А. Ратишвили, Б. Г. Маргияев. Разработка специальных сталей и технологий их раскисления с использованием комплексных ферросплавов. Сб. докл. Междунар. конф. Совр. технол. и мет. неорг. материаловед. 2012, Тбилиси: Меридиана 228-238.

ჩატარებულია სპეციალური (კრიოგენული, ცვეთამედეგი, არამაგნიტური) ფოლადების დამუშავების კვლევები, რომლებიც წარმოადგენენ კომპლექსური განმუანგველებისა და მოდიფიკატორების გამოყენებით ხარისხიანი ფოლადების

წარმოების ფ. თავაძის სამეცნიერო-ტექნიკური მიმართულების შემდგომ განვითარებას.

22. L. Chkhartishvili. Geometry of all-boron nanotubes with reduced numbers of bonds. Trans. Int. Sci. Conf. 90th Anniv. GTU "Basic Paradigms in Science and Technology Development for the 21st Century". 2012, Tbilisi: Publ. House Tech. Univ., 383-386.

აგებულია ელემენტური ბორის გადაგვარებული (ბმათა შემცირებილი რაოდენობის მქონე ატომებისაგან შედგენილი) ნანომილაკების ანალიზური გეომეტრიული მოდელი.

23. А. Тутберидзе, Т.Намичеишвили, К.Папава. Экспресс оценка точности размеров толщины стенки при горячей прокатке труб на автоматстане, журнал «Металлургическая и горнорудная промышленность», №11, 2012, с.46-48.

განსაზღვრულია ცხლადნაგლინი მიღების ტექნოლოგიურ ნაკადში კედლის სისქის უკონტაქტო გაზომვისა და რეგულირების ტექნოლოგიური სქემა.

24. А. Тутберидзе, Н. Дарахвелидзе, З. Мелашвили. Графоаналитический метод определения контактной поверхности металла с валками при прокатке в калибрах», журнал «Сталь», №7, 2012, с.38-43.

შემოთავაზებულია გრაფოანალიტიკური მეთოდი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია გრძივი გლინვისას განისაზღვროს კალიბრებში ნამზადის საკონტაქტო ფართობი.

25. И.Чхартишвили, Дж.Шарашенидзе- «Процесс синтеза в системе металл-углерод при высоких давлениях и нейтронном облучении для получения искусственных алмазов. Международная конференция «Современные технологии и методы неорганического материаловедения. Сб.докл., с.203-207, г.Тбилиси, 2012г.

შემუშავებულია ხელოვნური ალმასების მიღების ტექნოლოგია მაღალი წნევებისა და ნეიტრონული დასხივების პირობებში . საწყის ეტაპზე სწარმოებს ლითონ-ნახშირბადის სისტემის დატვირთვა სუსტი დარტყმითი ტალღებით. ნახშირბადი გადადის აქტივირებულ მდგომარეობაში. შემდგომ წარმოებს სისტემის დასხივება ჩქარი ნეიტრონებით დაბალტემპერატურულ რეჟიმში.

26. В.Акопов, Ф.Акопов, А.Гачечиладзе, Д. Дриаев, С.Цакадзе, И.Чхартишвили

- Композиты на основе меди для коммутационной аппаратуры - Proc. of the 15-th international meeting “Order, Disorder and Properties of Oxides”, ISBN ODRO-15.(2012). 7-12 september. Rostov-on-Don. Russia V.1, pp.

გამოკვლეულია კომპოზიციური მასალის სპილენი-ვოლფრამი (Cu-W) ელექტრული თვისებები. ფხვნილოვანი ნარევების კონსოლიდაცია სწარმოებდა დარტყმითი ტალღების გამოყენებით. დადგენილია ტემპერატურის გავლენა კომპაქტირების პროცესზე, ელექტრულ წინაღობაზე, დეფორმაციაზე, ნაწილაკების ზომაზე.

27. ი. ჟორდანია, გ.ქვეშიშვილი, ჯ.ლორია – ლითონის უწყვეტი ჩამოსხმის ტექნოლოგიის სრულყოფა. საერთაშორისო კონფერენციის მოხსენებათა კრებული

“არაორგანული მასალათმცოდნეობის თანამედროვე ტექნოლოგიები და მეთოდები”, თბილისი, გამომცემლობა “მერიდიანი”, 2012 წ. 4-6 ივნისი, გვ.274-285
დამუშავებულია, დამზადებულია და გამოცდილია ფეროშენადნობების უწყვეტი ჩამოსხმის აგრაგატი. დადგენილია ურთიერთ კავშირი უსხმულო გლინვის კონსტრუქციულ და ტექნოლოგიურ პარამეტრებს შორის, რის საფუძველზე დამზადებულია უსხმულო გლინვის დანადგარი.

28. დ.მაჭარაძე, თ.ნამიჩეიშვილი, დ.ნოზაძე, მ.ოქროსაშვილი -ფოლად-ალუმინის მყარ ფაზაში დიფუზური შეერთების ელექტროსტიმულიონება თერმოპლასტიკური დამუშავების პირობებში, საერთაშორისო კონფერენციის მოხსენებათა კრებული “არაორგანული მასალათმცოდნეობის თანამედროვე ტექნოლოგიები და მეთოდები”, თბილისი, გამომცემლობა “მერიდიანი”, 2012 წ. 4-6 ივნისი, გვ.74-83

შემოთავაზებულია ფოლად - ალუმინის ელექტროკონტაქტური ხურების და დიფუზიური შეერთების კომბინირებული მეთოდი, რომელიც არსებით გავლენას ახდენს შეერთების ზონის მყარფაზური ფორმირების პირობებზე. მეთოდი უზრუნველყოფს შესაერთებელი ზედაპირების უკეთეს ფიზიკურ კონტაქტს, საკონტაქტო ზედაპირების მოთელვას, ხოლო ზედაპირების აქტივაცია უფრო სწრაფად მიიღწევა. ჩატარებულია მექანიკური გამოცდები სტატიკურ და დინამიკურ რეჟიმებში, განსაზღვრულია სტრუქტურა და ფაზური შედგენილობა ფოლად ალუმინის შეერთების საზღვარზე.

29. А.Тутберидзе . Графо-аналитический метод определения контактной поверхности металла с валками при прокатке протяжного тела в калибрах - Сталь #7 2012 ст.38-43 Москва

შემოთავაზებულია გრაფოანალიტიკური მეთოდი, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია გრძივი გლინვისას განისაზღვროს კალიბრებში ნამზადის საკონტაქტო ფართობი.

30. ჯ.მოსია, მ.მინდელი, ვ.მგელაძე. მანგანუმის დაბალხარისხიანი მადნების გამოყენების ეფექტურობა ფეროსილიკომანგანუმის წარმოების დროს. საერთაშორისო კონფერენციის მოხსენებათა კრებული “არაორგანული მასალათმცოდნეობის თანამედროვე ტექნოლოგიები და მეთოდები”. თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2012 წ. 4-6 ივნისი, გვ. 239-242

სტატიაში მოცემულია ოპტიმალური შედგენილობის მანგანუმშემცველი კაზმის ფორმირების ამოცანის გადაწყვეტა ფეროსილიკომანგანუმის წარმოებაში თერჯოლის უბნის დაბალხარისხიანი მანგანუმის მადნის გამოყენების დროს. გაკეთებულია დასკვნები ამ შენადნობის კაზმის ოპტიმალური შედგენლობის თაობაზე მისი იმპორტულ მანგანუმის მადნებთან ერთად გამოყენების დროს.

31. Дж.Мосия, Г.Николайшвили, М.Чумбадзе - Теплофизические свойства ткибульских руд и отходов его обогащения. Georgian Engineering News, 2012, № 3 vol. 63.p. 52-56.

სტატიაში მოცემულია ტექნიკური ნახშირისა და მისი გამდიდრების ნარჩენების დერივატოგრაფიული და თბო-ფიზიკური კვლევის შედეგები. გამოყენებული

საკაზმე მასალებისა და რაციონალური კაზმების თბოფიზიკური პარამეტრების შესწავლა ემსახურებოდა მათგან კომპლექსური შენადნობის-ფეროსილიკომანგანუმის ელექტროთერმული გამოდნობის ტექნოლოგიური სქემის დადგენას.

32. მ. მიქაბერიძე, გ. გორდეზიანი, დ. რამაზაშვილი, ლ. ახვლედიანი, ე. გორგალიშვილი. Ti-Ni-Si სისტემის შენადნობების სტრუქტურის, მექანიკური თვისებების, კოროზიამედეგობის შესწავლა და მათი ფაზური დიაგრამის თერმოდინამიკური გათვლა. საერთაშორისო კონფერენციის მოხსენებათა კრებული “არაორგანული მასალათმცოდნეობის თანამედროვე ტექნოლოგიები და მეთოდები”. თბილისი, გამომცემლობა „მერიდიანი“, 2012 წ., 4-6 ივნისი, 2012წ., გვ.295-303.

Ti-8Ni-(0-5) Si ნაწრობ შენადნობთა მიკროსტრუქტურა შედგება ტიტანის α - მყარი ხსნარისა, Ti₂Ni და Ti₅Si₃ შენაერთებისგან. სილიციუმი ზრდის შენადნობთა სიმტკიცეს (1000MPa) და სისალეს (42 HRC), თუმცა ამცირებს მათ პლასტიკურ თვისებებს. Ti-8Ni--(0-5)Si-ში სისტემის შენადნობთა თეორიული კვლევა განხორციელებულია არარეალულარი სამმაგი ხსნარების თერმოდინამიკური ფუნქციის და სტექეომეტრიული შედგენილობათა თავისუფალი ენერგიების გამომსახველი განტოლებების გამოყენებით. თერმოდინამიკური მახასიათებლების გამოსათვლელად მიღებული მოდელი შედგება ქიმიური პოტენციალებისგან და შემუშავებულია შესაბამისი შედგენილობის მქონე ნაერთების და ხსნარების თავისუფალი ენერგიების მინიმიზაციით. სტანდარტული თერმოდინამიკური ფუნქციების რიცხვითი მნიშვნელობები და წონასწორული კონცენტრაციები გაანგარიშებულია ფაზური გარდაქმნების შესაბამის ტემპერატურებზე. გამოთვლების შედეგად აგებულია Ti-8Ni-(0-5)Si სამმაგი სისტემის ფაზური დიაგრამის პოლითერმული ჭრილი.

33. მ. მიქაბერიძე, დ. რამაზაშვილი, ლ. ახვლედიანი. Ti-Ni-Cr სისტემის შენადნობთა ნანოკრისტალური დანაფარების კოროზიამედეგობის და ელექტროქიმიური მახასიათებლების შესწავლა. საერთასორისო კონფერენციის მოხსენებათა კრებული “არაორგანული მასალათმცოდნეობის თანამედროვე ტექნოლოგიები და მეთოდები” 4 -6 ივნისი, 2012წ., გვ. 286-295.

ტიტანის კომერციული შენადნობების ზედაპირის ელექტრონაპერტკლური ლეგირებით მიღებულია ნანოკრისტალური დანაფარები სხმულ და კომპაქტურ Ti-8Ni-(1-3%)Cr შენადნობთა ელექტროდების გამოყენებით. კომპაქტური ელექტროდები მიღებულია შენადნობთა ფხვნილების მექანიკური ლეგირებით, მათი ცივად დაწესებით და მაღალტემპერატურული შეცხობით. Ti-8Ni-(1-3%)Cr შენადნობთა ნანოკრისტალური დანაფარები აუმჯობესებენ ტიტანის კომერციულ შენადნობთა სისალეს, ცვეთამედეგობას და კოროზიულ მდგრადობას რეკომენდირებულია მათი გამოყენება მრავალჯერადი მოხმარების სამედიცინო ინსტრუმენტების დანაფარებისათვის.

34. ქ. გოზალიშვილი, დ.რამაზაშვილი. ქრომ-მანგანუმიანი დუპლექს ფოლადის კოროზიული თვისებები. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მაცნე. ქიმიის სერია, ტ.38, №2-3, 2012. გვ. 257-263.

შესწავლილია 08X25T15C ფოლადის კოროზიის საერთო სიჩქარე და მიდრეკილება კოროზიის ლოკალური სახეებისადმი 0,5M NaCl, სხვადასხვა კონცენტრაციის გოგირდმებავა და სრული ფაქტორული ექსპერიმენტის გეგმის 2^2 მიხედვით შედგენილ სსნარებში. გამოყენებული იყო ლოკალური კოროზიის სახეების პროგნოზირების ელექტროქიმიური ტექნიკა: კოროზიის სიჩქარის განსაზღვრის გრავიმეტრული და ელექტრო-ქიმიური მეთოდები, შედეგების დამუშავების სტატისტიკური მეთოდის გამოყენებით. დადგენილი იყო, რომ ფოლადის კოროზიულ ქცევას განსაზღვრავს პასივაციის დროს მის ზედაპირზე წარმოქმნილი ქრომის და რკინის პიდროქსიდები; ფოლადს არ ახასიათებს ლოკალური კოროზია აგრესიული გრუნტის შესაბამის სსნარში ($0,111 \text{ M } \text{SO}_4^{2-}$ და $0,027 \text{ M } \text{Cl}^-$); საერთო კოროზიის სიჩქარე არ აღემატება 0,00 მმ/წელი. უფრო მაღალი საერთო მოლურობის სსნარებში არსებობს პიტინგური კოროზიის რისკი და აუცილებელია ანტიკოროზიული დაცვა.

35. გ. ონიაშვილი, გ. თავაძე. ერთფაზიანი ინტერმეტალიდების სინთეზი. საერთასორისო კონფერენციის მოხსენებათა ქრებული “არაორგანული მასალათმცოდნეობის თანამედროვე ტექნოლოგიები და მეთოდები”. გამომცემლობა „მერიდიანი“, 4-6 ივნისი, 2012წ., გვ. 58-65

ნაშრომში შესწავლილია ერთფაზიანი ნაერთების მიღების შესაძლებლობა ტიტან-ალიუმინის სისტემაში თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზი-თბური აფეთქების რეჟიმში. შემუშავებულია ტექნოლოგია და დადგენილია ტექნოლოგიური პარამეტრები ერთფაზიანი მასალების მისაღებად. გადმოცემულია ტიტან-ალიუმინის სისტემაში ნანოსტრუქტურული მასალების მიღების თეორიული და პრაქტიკული საფუძვლები. შესწავლილია მიღებული მასალების ფიზიკურ-მექანიკური თვისებები და მიკროსტრუქტურა. აღნიშნულია, რომ თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზი- თბური აფეთქებით მიღებული ერთფაზიანი, ნანოსტრუქტურული მასალების თვისებები ყოველთვის აღემატება მათი სამრეწველო გზით მიღებული ანალოგების თვისებებს.

36. G. Oniashvili; G. Tavadze; D. Sakhvadze; G. Jandieri; G. Jishkariani; G. Zakharov, Z. Aslamazashvili -Ecological Problems Related to Mining-Metallurgical Industries and Innovatory. Energy- Efficient Ways of Solving Them » Engineering, 2012, 4, 83-89

წარმოდგენილ ნაშრომში განხილულია სამთო-მეტალურგიულ მრეწველობასთან დაკავშირებული ეკოლოგიური რისკები, გაანალიზებულია პაერის, ნიადაგისა და წყლის დაბინძურების პრობლემები და მათი გადაჭრის ახალი შესაძლებლობები. დასაბუთებულია ისეთი ინოვაციური და ენერგოდამზოგი ტექნოლოგიების გამოყენების მიზანშეწონილობა, როგორიცაა ფიტორემედიაცია და ლითონების მყარფაზური აღდგენის ეგზოთერმული თვითგავრცელებადი მაღალტემპერატურული სინთეზი. მოცემულია შერჩეული მეთოდების ეფექტურობის დამადასტურებელი არგუმენტები.

37. N.Chikhradze, N.Gigineishvili, M.Chikhradze, G.Oniashvili. Explosive fabrication of bulk nanostructured intermetallics in Ti – Al – B system . M. -NANO-2012, PP 68-74
სტატიაში წარმოდგენილია დარტყმითი ტალღების თანხლებით მიმდინარე რეაქციები Ti-Al-B სისტემაში. დარტყმითი ტალღებით ფორმირება ხდებოდა ცილინდრული სქემის დატვირთვის პირობებში. თეორიულად იქნა გაანგარიშებული ენერგეტიკული და დაძაბულობის ტენზორის კომპონენტები ფოლადის კონტენერისათვის ზემოთხსენებული სისტემის კაზმის პირობებში. დადგინდა, რომ მიღებული ნიმუშების ფაზური შედგენილობა, მიკროსტროსტრუქტურული და მექანიკური თვისებები დამოკიდებულია საწყისი კაზმის კომპონენტების თანაფარდობასა და სარეაქციო კაზმის ნაწილაკთა ზომებზე. შესწავლილ იქნა ფოლადის კონტენერის ცილინდრული ზედაპირისა და ინტერმეტალიდს შორის შეერთების ზონა, ასევე განისაზღვრა მიკროსისალების განაწილება ნიმუშში.

38. Chikhradze, C. Politis, A. Gigineishvili, M. Chikhradze, G. Oniashvili Bulk nanostructured materials obtained by shock waves compaction of nanocrystalline Al and coarse Ti -N -NANO-2012, PP 75-80

სტატიაში განხილულია ნანო-ალუმინისა და მსხვილმარცვლოვანი ტიტანის ფხვნილების დარტყმითი ტალღებით კონსოლიდირების თეორიული და ექსპერიმეტული კვლევები. თეორიული კვლევებისათვის გამოყენებულ იქნა პიდროდინამიკის თეორია და Ti და Al ექსპერიმენტული ადიაბატები. ფოლადის მიღის გასწვრივ მოქმედი ნორმალური და მხები ძაბვების მნიშვნელობების განსაზღვრა მოხდა დრეკადობის თეორიის კერძო ამონასსნების საშუალებით. დარტყმითი ტალღებით კომპაქტირების ექსპერიმენტები ჩატარდა სხვადასხვა ინტენსივობის წნევის ინტერვალში (5-20გპ). მიღებული ნიმუშებისათვის ჩატარებულ იქნა სტრუქტურული კვლევები და განისაზღვრა მიკროსისალები.

39. G. Oniashvili, Z.Aslamazashvili, G.Zakharov, M.Chikhradze Synthesis of Radiation-resistant Multifunctional Materials- Explosive Production of Novel Materials, 2012.pp 82-83.

სტატია ეხება ბორშემცველი, მრავალფუნქციური, მათ შორის ნანოსტრუქტურული რადიაციამედეგი მასალების და მათგან ნაკეთობების მიღებას, რომლებიც გამოიყენება როგორც რადიოაქტიური მასალების კონტენერებად, ასევე რადიაციისაგან დამცავ კომპონენტებად. სამუშაოს განსაკუთრებულება მდგომარეობს იმაში, რომ ბორშემცველი, მრავალფუნქციური, მათ შორის ნანოსტრუქტურული რადიაციამედეგი მასალების და მათგან ნაკეთობების მიღება ხორციელდება ერთ ციკლში თმს მეთოდზე დაფუძნებული 4 ტექნოლოგიით. ამჟამად ბორის იზოტოპის მიღება საკმაოდ ძვირი, შრომატევადი პროცესია. ზოგიერთ შემთხვევაში პროცესი ფეთქებადია, რაც იწვევს საკმაოდ ძვირადღირებული იზოტოპური ნედლეულის მნიშვნელოვან დანაკარგს. ამ პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთი გზა (თუ ერთადერთი არა) არის თმს მეთოდის გამოყენება. ბორშემცველი მასალების მიღება ხდება შემდეგი 4 მიმართულებიდან ერთ-ერთის გამოყენებით:

- თმს- მაღალი წნევის რეაქტორში; - თმს- ცენტრიდანული ძალების ველში;
- თმს- წვის და თბური აფეთქების რეჟიმში. - თმს- ატმოსფერულ პირობებში შესაბამისად თითოეული ტექნოლოგიური მიმართულება უზრუნველყოფს განსხვავებული მასალებისა და მათგან ნაკეთობების მიღებას, როგორიცაა ფხვნილები, დანაფარები, კომპაქტები (მათ შორის ფუნქციონალურ-გრადიენტული

და ნანოსტრუქტურული მასალა), ფორიანი ფორიანი და უფორო კომპოზიციური მასალა, რომელიც შეიცავს ბორის იზოტოპს

40. .E. Khutsishvili, B. Kvirkvelia, D. Kekelidze, V. Aliyev, D. Khomasuridze, Z. Guguchia, N.Kekelidze. Carrier Mobility of InAs- and InP- rich InAs-InP Solid Solutions Irradiated by Fast Neutrons ,Book. of Abstracts. ICPS 2012 31st International Conference on the Physics of Semiconductors July 29th – August 3rd, p.65 ,2012, ,Zurich, Switzerland

შესწავლილია დენის მატარებელთა ძვრადობა ფართო ტემპერატურულ ინტერვალში InAs-ის და InP- ით მდიდარ InAs-InP მყარ ხსნარებში დასხივებამდე და ჩქარი ნეიტრონებით დასხივების შემდეგ. თეორიასთან შედარებამ გვიჩვნა, რომ InP-ს ქვემესერი უფორო ძლიერ ირდვევა ვიდრე InAs-ის დასხივებისას და წარმოიქმნება დიდი მოუწესრიგებელი უბნები.

